წელიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | ხუთშაბათი, 24 მარტი 1916 წ. | № 67

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

## საარტისტო საზოგადოების დარბაზი

კვირას, 27 მარტს, გაიმართება პირველად თბილისში

## დიდი საჯარო ქართული სიტყვა-მუსიკობა კ. ფოცხვერაშვილისა

სიტყვის თემა: „ქართული ხალხური სიმღერა-გალობა და მისი ჰარმონია—კონტრაპუნქტი“.
სამუსიკო განყოფილებაში საუკეთესო მომღერალ-დამკვრელთაგან შესრულებული იქნება მრავალი ახალი ქართული სიმღერა-ჰიმნ-საგალობელნი.
გარჩეული იქნება თემატიურად და შესრულდება როიალზე პირველი ქართული სიმფონიური პოემა
„თქმულება ამირანზე“ კ. ფოცხვერაშვილისა.

თვითონ ფოცხვერაშვილი საილუსტრაციო ნიმუშთა შორის შეასრულებს სიმღერით და დაკვრით თორმეტ სხვა და სხვა ერთა კილოებს; იტყვის ქართულ ხმებს: „ჩანგურულს“, „მესტვირულს“, „ლილინს“, „ვეფხის ტყაოსნის შაირს“ და წაიკითხავს (გალობით) ქართულ სახარებას.
ბილეთები 5 მანეთიდგან ათ შაურამდე აწთავითვე იყიდება ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებაში.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. აფიშები არ გამოვა.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

უპრემიოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

## ახალი კლუბი

პარასკევს 25 მარტს 12 საათზე სიტყვაკაზმულ საზოგად. საბჭოს თაოსნობით გაიმართება **დილა**
**სანდრო შანშიაშვილი** წაიკითხავს თავის ახალ ნაწარმოებს
**„ბედო ზმანის“-ს**
დასურათებულს მხატვარ ვალ. სიდამონიძე ერისთავის მიერ.
სურათებს თვით ავტორი ეკრანზე (ბუნდოვან სურათებად) მსმენელთ უჩვენებს.
ბილეთები იყიდება კლუბის კასაში.
წევრნი ქართულ სიტყვა კაზმულ საზოგადოებისა დილაზე შესასვლელ ფასს არ იხდიან. დილის გამგე—ქართ.-სიტყვა კაზმული საზოგადოების საბჭო.

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხაილოვის პროსპექტი № 129)
ოთხშაბათს, 23 მარტს
**სიმებიანი ორკესტრი**
დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.
სტუმრები იხდიან ჩვეულებრივ ფასს.
ხუთშაბათს, 24 მარტს
**სინემატოგრაფი**

საგალანტერიო მაღაზია
**ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა**
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იყიდება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

საუკეთესო კახური
**ღვინის საწყობი**
ადამ ზურაბის ძის
**ბერელაშვილისა**
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ქ. ბაქოში
**ღვინით ვაჭრობა**
**„მელაანი“**
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)




## ვაგზლის სამკურნალოში

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)
სამკურნალოს ყველა ექიმებმა
კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.
აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოსელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.
(თ.—126—8)

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია
**„განათლება“-ში**
**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.
პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ кавказское слово“, „тбилисский листокъ“, „орiзонъ“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.
ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

სასტუმრო **„ავრორა“**
ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრები.
უადრესი ხიფაქიზე. **ელექტრონის განათება**
ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად
ნომრები ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებშია.
თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.
**სასტუმროსთან მოწყობილია სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.**
თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.

**შეშის საწყობი**
**ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა**
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში
**საკუთარი ტყიდან**
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ექიმი
**მ. დ. წინამძღვრიშვილი**
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36. მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
**კალანდარიშვილი**
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.
ტელეფონი, 17—21.

ექიმი-დოსტაქარი
**ბ. მ. მუხაძე**
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნისა დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

## თბილისის ქალაქის გამგეობა

აუწყებს ამომრჩეველთ, რომ კვირას მარტის 27-ს დანიშნულია
**საარჩევნო კრება**
ქალაქის საბჭოს ხმოსნების ასარჩევად ოთხის წლის ვადით 1916—1920 წ.
**მე-4 საარჩევნო უბნისა** (მე-6 და მე-7 საპოლიციო უბნები) არაქსიანისეულ თეატრში (კონსტანტინოვისა და მთავარანგელოზის ქ.).
**მე-5 საარჩევნო უბნისა** (მე-8 საპოლიციო უბანი). თბილისის საკომერციო სასწავლებლის დარბაზში (19 თებერვლის ქუჩა).
**მე-6 საარჩევნო უბნისა** (მე-9 და მე-10 საპოლიციო უბნები) ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში (კიროჩნის ქუჩა).
**მე-7 საარჩევნო უბნისა** (მე-11 და მე-12 საპოლიციო უბნები) ქალაქის სასწავლებლის დარბაზში (ვაგზლის გადაღმა (ნაძალადევში), სახლი ბოტესი).

**დამატებითი არჩევნები**
დანარჩენ ხმოსნებისა და კანდიდატების ასარჩევად **მოხდება 3 აპრილს.**
დაწვრილებითი ცნობები დამატებითი არჩევნებისა ცალკე გამოცხადდება.

**ამომრჩეველთა საყურადღებოდ**
1) რომელიმე საარჩევნო უბანში გაშავებულ პირს უფლება აქვს სხვა საარჩევნო უბანში იყაროს კენჭი თუ შესაფერი ცენზი აქვს (უმართებ. სენატის ბრძანება 1906 წ. 26 მარტის, № 4494).
2) რომელიმე უბანში გაშავებულ პირს უფლება აქვს იმავ უბანში კენჭი იყაროს ხმოსნის კანდიდატობაზე (უმართებულეს სენატის ბრძანება 1906 წ. 8 მაისისა, № 5016 და 1913 წ. 25 სექტემბ. № 10463 და სენატის წესდება საერთო კრებულის 1902 წ. 8 ღვინობისთვე № 9644).

## თეატრი „მინიატიური“

**ოპერა, კომედია, ოპერეტკა, ბალეტი, პაროდიები და კინემატოგრაფი. პეტროგრადისა და მოსკოვის თეატრების ანსამბლი.**
მიმდინარე რეპერტუარი 1916/17 წ. მოქმედებას დაიწყებს წელს სექტემბრის გასულს, ახლად აგებულ საუცხოვო თეატრში, გოლოვინის პროსპექტზე, ვერის დაღმართის კუთხეში, სახლი ა. ა. მელიქ-აზარიანცისა.
მთავარი ადმინისტრატორი ა. ი. მეშჩერინი.

## გამგეობა

**თბილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა**
აცხადებს, რომ მორიგი
**წლიური კრება**
ამ საზოგადოების წევრთა, 11 მარტს დანიშნულ კრების ნაცვლად, რომელიც საკმაო წევრთა მოუსვლელობის გამო გადაიდო, დანიშნულია კვირას, მარტის 27-ს დილის 10 საათზე.
**განსახილველი საგნები:**
1) საბჭოს მოხსენება ანგარიშის თაობაზე. 2) საბჭოს მოხსენება თავისი მოღვაწეობის შესახებ. 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება. 4) 1915 წლის ანგარიში. 5) 1916 წ. ხარჯთ-აღრიცხვა. 6) არჩევნები: მორიგეობით გასულ გამგეობის წევრის გრ. თ. ყიფშიძის მაგიერისა, საბჭოს წევრთა არჩევა, ნაცვლად გამგეობის წევრად არჩეულ პ. ა. გოთუასი და მორიგეობით გასულ გ. მ. ლასხიშვილის მოადგილისა, სარევიზიო კომისიის სამი წევრისა და მათი კანდიდატებისა. (3—72—1)

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი, 22 მარტი. დასავლეთი ასპარეზი.** ოფიციალი. წყალდიდობა გრძელდება. გერმანელები იქსკიულთან სიმაგრეებს მძიმე ზარბაზნებს უშენენ. გენერალ ევერტის ასპარეზზე ღირსშესანიშნავი არა მომხდარა რა. მტრის მფრინავები ჩვენს ჯარს სხვა და სხვა ადგილებში თავს დასტრიალებდნენ. დაბა ლიახოვიჩაში მტერმა რვა ყუმბარა ჩამოაგდო. ოლიკის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით სოფ. ბოგუსლავკას და ისბახლიკის მიდამოებში მტერმა იერიში მოიტანა, მაგრამ უკუ ვაგდეთ. მტრის მფრინავებმა როვნოში და სარნაში ყუმბარები ჩამოჰყარეს. კრემენცის ჩრდილოეთ-დასავლეთით მტერმა ჩვენს თხრილებთან ორი ნაღმი ააფეთქა, მაგრამ თხრილები ხელში ვერ ჩაიგდო. მტრის იერიში ტარნოპოლის დასავლეთით მოვიგერიეთ. ბოიანის ჩრდილოეთით მტერმა ნაღმები ააფეთქა, მაგრამ თხრილები ხელში ვერ ჩაიგდო.

**კავკასიის ასპარეზი.** 20 მარტს ხელთ ვიგდეთ ორი როტა ოსმალებისა, რომელიც ახლად იყო გადმოყვანილი სომხების ასპარეზისაკენ. მუშ-ბითლისის მიდამოებში ჩვენ დასავლეთ-სამხრეთისაკენ გზას ვიკაფავთ.

— —

**პარიზი,** 21 მარტი. საღამოთი მოსული ცნობა. სუასონისა და რეიმსის შუა ჩვენ ცეცხლი გავუჩინეთ გერმანელთა პოზიციებს. არგონებში ჩვენმა ბატარეებმა მკაცრად დაუშინეს ავოკურის ტყის დასავლეთ კუთხეს, ამასთანავე შევნიშნეთ აფეთქება. მაასის დასავლეთით საღამო ჟამზე გერმანელებმა ენერგიული იერიში მოიტანეს ოკურისა და ბეტანკურის შუა ჩვენს პოზიციებზე, რომელნიც მდებარეობდნენ მდ. ფორჟის მარცხენა ნაპირზე, მაგრამ ჯერ კიდევ 19 მარტს დავცალეთ, მტრის შეუმჩნევლად გადავიტანეთ ნარჯვენა ნაპირებზე. ბეტანკურიდან ჩვენმა არტილერიამ დიდი ზარალი მიაყენა მათ. დღეს საკმაოდ ძლიერი საარტილერიო სროლაა ბუაბიურის რაიონში, თუმცა ქვეითი ჯარებს იერიშები არ მოუტანიათ. მაასის აღმოსავლეთით ჩვენი კონტრიერიშები მარჯვედ ვითარდებოდა. მთელი დღის ბრძოლის შემდეგ კალეტის ტყის განაპირა ნაწილი დავიბრუნეთ, ვოს ტრის ჩრდილოეთით. უკანასკნელ კონტრიერიშებითვე დავიბრუნეთ სოფელ ვოს დასავლეთი ნაწილი. ვევრში, მულენვილის სექტორში, ძლიერი საარტილერიო სროლაა. დიუნკერს რომ ყუმბარები დაუშინეს, სამაგიეროს მისაზღვევად ჩვენმა მფრინავებმა 30 მძიმე ყუმბარა ჩამოაგდეს. საზოგადოდ საჰაერო ბრძოლა ხშირად მოხდა. ოთხი აპარატი გავუფუჭეთ მტერს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**პორტუგალია**

ლისსაბონიდან იტყობინებიან: პორტუგალიის საზღვაო ფლოტის სარდალმა ლეკტ-დე-რეგომ განაცხადა: პორტუგალია დიდის სისწრაფით ემზადება ომისათვის დი მზად არის ყოველ გვარ შემთხვევისათვის. გერმანელთა წყალქვეშა გემების დაცემა ლისსაბონზე შესაძლებელია. გერმანელთა წყალქვეშა გემები უკვე დაძრულა და მზათა ვართ მტერი მოვიგერიოთ. რაც შეეხება ქვეითა ჯარს, ისიც ემზადება და მზათ არის ბრძოლისათვის.

— პორტუგალიაში შესდგა კაბინეტი თავის დასაცავათ, რომელსაც სათავეში უდგას ალმეიდანი.

**გერმანელები პოლონეთში.**

რაც გერმანელებმა პოლონეთი აიღეს ვარშავიდან შუაგულ გერმანეთში 17,809 სხვა და სხვა დარგის სპეციალისტი მუშა გადაასახლეს.

**საბერძნეთი.**

საბერძნეთის მთავრობამ გულის წყრომა გამოუცხადა გერმანეთს იმის გამო, რომ მათმა ჰაეროპლანებმა სოლუნში ყუმბარები ჩამოყარეს.

**ბულგარეთ-რუმინეთის დამოკიდებულება.**

ლოზანნიდან იტყობინებიან: ბულგარეთმა მიიღო 1,500 ვაგონი საქონელი რომელიც შეაჩერა რუმინეთმა. რუმინეთმა ნება დართო თივის, მაზუთის და ნავთის გატანაზე, რის მაგიერ რუმინეთში უნდა ბულგარეთმა თამბაქო შეიტანოს. ამ ორ სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკებაა დუნაიზე სისტოვთან ხიდის აშენების შესახებ.

**შეიარაღება**

„Me-Jork-Hervalq“ სწერს: რუსის გენერალმა გერმონიუსმა შეუკვეთა ამერიკას 23.000 ტყვიისმფრქვეველი და ათი მილიონი ყუმბარა. ამერიკელების მწარმოებელთა აზრით, შვეცია ვერ დაიკვეთს იარაღს, რადგანაც იგი გერმანეთისათვის მუშაობს.

**საბერძნეთი,**

საბერძნეთის მთავრობამ მოკავშირეთა სახელმწიფოების ელჩებს გადასცა პასუხი ჩრდილოეთ ეპირის შესახებ, სადაც ნათქვამია: საბერძნეთის მთავრობამ ჩრდილოეთ ეპირი დროებით დაიჭირა და არ შეიძლება ეს შემთხვევა მოკავშირეთა სახელმწიფოების საწინააღმდეგო გამოსვლად ჩაითვალოს. საბერძნეთის მთავრობა ირწმუნება, ბოლომდის მოკავშირეთა მეგობრად დავრჩებითო.

ათინიდან იტყობინებიან: გერმანეთის ჰაეროპლანები ბერძნების ჯარს ნიგრიტის მიდამოებში თავს დასტრიალებდნენ. ჰაეროპლანებიდან ყუმბარები ჩამოჰყარეს, ორი ბერძენი ჯარის კაცი სასიკვდილოდ დაიჭრა.

**ზ ა ვ ი.**

„უნივერსალ“-ი მოწინავე წერილში ირწმუნება: მსოფლიო ომი ამ ზაფხულს გათავდა, რადგანაც გერმანელებს და მის მოკავშირეთ ყველაფერი შეუმცირდათ. სწორეთ ამით აიხსნება მათი მკაცრი შეტევა ვერდენთან და აღმოსავლეთ ასპარეზზე, რომელიც შეჩერებულ იქმნა. გერმანეთისათვის ხელსაყრელია რაც შეიძლება მალე ჩამოვარდეს ზავი.

**სალონიკის მიდამოებში.**

სალონიკის მიდამოებში გერმანელთა რაზმმა მოინდომა ჩრდილოეთ კულესკენ წინ წაწევა, მაგრამ უკუ აგდეს და რამდენიმე კაცი დაატყვევეს.

**ოსმალეთის მისია ბუქარესტში.**

ბუქარესტში მოვიდა ოსმალეთის მისია, ფინანსთა სამინისტროს დირექტორის კიაზიმ-ბეის მეთაურობით.

ამათ გერმანელებმა 20.000 ვაგონი ხორბალი მისცეს, იმ 100.000 ვაგონიდან, რომელიც ავსტრია-გერმანეთმა შეიძინა.

**გენერალი მაგონი**

ინგლისის კრეისერით ათინაში მოვიდა ბალკანეთში მყოფ ინგლისის ჯარის სარდალი გენერალი მაგონი. მაგონმა ინახულა მეფე კონსტანტინე. დარბაზობამ ერთ საათს გასტანა. მაგონს გზაში ხალხი ტაშის ცემით ეგებებოდა. ამ მოგზაურობის შესახებ ინგლისის ელჩმა ელლიოტმა განაცხადა: მაგონის ათინაში წასვლას არ აქვს დიდი მნიშვნელობა, მით უფრო, რომ დარბაზობის დროს პოლიტიკური კითხვები არ ყოფილა წამოყენებულიო.

საღამოთი მაგონს ინგლისის დიპლომატიურმა მისიამ სადილი გაუმართა, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ მოკავშირეთა ელჩები, სამხედრო აგენტები და საბერძნეთის მთავარი შტაბის წევრები. გენერალი მაგონი სალონიკში დაბრუნდა.

**ალბანეთი**

ალბანელების ბელადი სედუსკი რომელიც სოფიაში მოვიდა, განაცხადა: სინამდვილეს არ შეესაბამება ის ხმები, ვითომც ბულგარეთში ალბანელთა კონგრესს ჰმართავდენ. კონგრესი შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ალბანეთში ან ტირანში. ალბანეთისათვის უნდათ მიიწვიონ ნეიტრალ სახელმწიფოთა მოხელეები. თუ ვინ უნდა განაგებდეს სახელმწიფოს, გამორკვეული არ არის. ალბანელებისათვის, მართველის სარწმუნოებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. საჭიროა მხოლოდ ისეთი პირი, რომელიც ალბანეთისთვის თავდადებული იქნება.

**ვილჰელმი რუსეთის ასპარეზზე.**

გაზეთების ცნობით, ვილჰელმი დიდს ყურადღებას აქცევს აღმოსავლეთ ასპარეზს, სადაც, მათის აზრით, ომის ბედი უნდა გადასწყდეს. ვილჰელმს განზრახვა აქვს რუსეთის ბრძოლის ველზე განუშორებლივ თვალყური ადევნოს საქმის მსვლელობას. ამ მიზნით ვილჰელმს ვილნოში სასახლეს უმზადებენ.

**გერმანელების მზადება.**

შვედების გაზეთი „Aftonbladet“-ი იტყობინება: გერმანელები ამ უკანასკნელ დროს შუაგულ ციხეებიდან: კენიგსბერგისა, პოზნანისა და კრაკოვიდან მძიმე ზარბაზნებს აღმოსავლეთ ასპარეზისაკენ ჰგზავნიან პოლონეთის ციხეებისათვის: კოვნოსა, ნოვოგეორგიევსკისა და ბრესტ-ლიტოვსკისათვის. მათის აზრით, უკანასკნელი და გარდამწყვეტი ბრძოლა აღმოსავლეთ ასპარეზზე უნდა მოხდეს.

**ბრაზილიის მცხოვრებნი და პორტუგალია.**

რიო-დე-ჟანეიროდან იტყობინებიან: ბრაზილიის მცხოვრებნი დიდის ყურადღებით ადევნებენ თვალ-ყურს პორტუგალიის გამოსვლას და თანაგრძნობით ეგებება მას. სავაჭრო პალატამ გადასწყვიტა პორტუგალიის წითელი ჯვრის ფონდს ხელი მოაწეროს. ქუჩებში პორტუგალიის სასარგებლო მანიფესტაციები იმართება.

**ოსმალეთის ჯარის მდგომარეობა**

„Manchester Dardian“ სწერს: ოსმალეთის ჯარი ვერ შესძლებს მცირე აზიაში რუსეთის ჯარის წინსვლა შეაჩეროს. რადგანაც რკინის გზები ჰაიდარ-ფაშა-კონია დღე და ღამეში ოთხ მატარებელზე მეტს ვერ გაუშვებს, ამასთანავე წესიერი მიმოსვლა მალ-მალე ირღვევა ნახშირის უქონლობისა გამო. ამის გარდა, საეჭვოა, რომ ოსმალეთიდან ჯარი კავკასიისაკენ გადაიყვანონ, სირიიდან კი ჯარს ვერსად გადაიყვანენ, რადგანაც მოკავშირეთა ჯარის გადასხმას მოელიან.

## ბრძოლის ველზე

რამდენადაც მწვავდება ვერდენის მდგომარეობა, იმდენად თითქოს განგებ ნელდება მოქმედება დანარჩენს ასპარეზზე. რუსეთის ასპარეზი თითქმის მთლად მიყუჩდა. ამის მიზეზი, უმთავრესად, რა თქმა უნდა, ავდრიანობაა, ყინულის ლხობა, რაიც ასე რიგად აფერხებს მოქმედებას ორთავე მხრით. რაც შეეხება თვით ვერდენს, აქ საქმე მწვავდება. აღმოსავლეთით თითქმის გასაბატონებელ ხაზს იგდებენ ხელში გერმანელები. ცნობილი დუომონ-ვოს მიდამოები ფაქტიურად მათ ხელშია, თუმცა წვრილმანი კონტრიერიშები ჯერაც არ დამცხრალა ორთავე მხრით. დასავლეთით კიდევ მაასის მაღლობებზეა ახლა ხმაურობა. ალყის რკალი ვიწროვდება, ოკურისა და ბენტკურის შუა გერმანელებმა „ახალი“ პოზიციები აიღეს მდ. ფორჟის ნაპირებზე. აქ ფრანგებს თვითონვე დაუცლიათ ეს პოზიციები ჯერ კიდევ 19 მარტს ისე, რომ გერმანელთ არც-კი შეუნიშნავთ.

სხვაფრივ აღსანიშნავია ცეპელინების თარეში. აგერ ეს სამი დღეა, რაც თარეშობენ ინგლისის აღმოსავლეთ საგრაფოებში. ეს, როგორც ლონდონიდან მოსული დეპეშა მოწმობს, უმაგალითო თარეშია. ასე ფართოთ თარეში მხოლოდ ეხლა დაიწყეს.

ზღვაზეც ამ უკანასკნელ ხანებში რამდენიმე საყურადღებო ამბავი მოხდა: ჩრდილოეთ ზღვაში, გერმანელთა სანაპიროებზე რამდენჯერმე მოხდა გერმანელთა და ინგლისელთა გემების შეტაკება. 13 მარტს ინგლისელთა ჰაეროპლანებმა იერიში მიიტანეს გერმანელთა ჰაერის ფლოტის სადგურებზე შლეზვიგ ჰოლშტეინში; სამი ჰიდროპლანი დაიღუპა ამ თარეშის დროს. მათ ახლდნენ ნაღმოსნები და კონტრნაღმოსნები. აქედან გერმანელთაგან დაიღუპა კონტრნაღმოსანი „მედუზა“. ამ ბრძოლაში გერმანელთ დაეღუპათ 2 ნაღმის მკრები (ტრალერი), ორი მოდარაჯე გემი და ერთიც კონტრნაღმოსანი. იმავე საღამოს ბრძოლა მოხდა გერმანელთა ნაღმოსან „გრიფისა“ და ინგლისელთა სავაჭრო გემის „ალკონტის“ შუა. ორთავე გემი დაიღუპა. შავ ზღვაზე რუსთა ნაღმოსნებმა ათიოდე იალქნიანი გემი დაჰლუპეს ანატოლიის ნაპირებთან. შემდეგ გერმანელთა წყალქვეშამ დაჰლუპა ინგლისელთა 7 და ნორვეგიელთა 2 გემი. უკვე დაღუპულ იქმნა „ჯონ პრიჩისი“, 17 მარტს ოსმალებმა დაჰლუპეს შავ ზღვაზე წითელი ჯვრის გემი „პორტიუგალ“-ი, ხოლო სხვა და სხვა ადგილას წყალქვეშა ნავებმა კიდევ იმსხვერპლეს ინგლისელთა 3 სავაჭრო გემი და ორიც ნეიტრალ ქვეყნებისა. საზოგადოთ ადმირალ ტირპიცის გადაყენების შემდეგ წყალქვეშა ნავებმა ენერგიული მოქმედება დაიწყეს.

X.

**თბილისი, 24 მარტი.**

**ხივის დაპყრობა.** ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტი დეპეშით გვატყობინებს — გაზეთი „უტრო როსსიის“ აზრით რუსის ჯარის მიერ ხივის სახანოში შეჭრა ამ სახანოს დამოუკიდებლობის მოსპობის მომასწავებელიაო. იგივე გაზეთი ამ ორიოდე კვირის წინედ მთავრობას უჩიოდა — ხივის სახანოში მცხოვრებნი რუსეთის ვაჭრებისადმი მტრულ განწყობილებას იჩენენ და ამაზედ მთავრობამ ამ სახანოს სრული დაპყრობით უნდა უპასუხოსო. ეხლა, როგორც სჩანს, მოსკოველ გაზეთის სურვილი აღსრულებულა. როგორც ხივის, ისე ბუხარის სახანოები რუსეთმა ამ ნახევარი საუკუნის წინედ შემოიერთა. იურიდიულად რუსეთთან მათ ვასალური დამოკიდებულება შერჩათ, ფაქტიურად კი — რუსეთის ამ ქვეყნების სრული ბატონ-პატრონი გახდა. რომ აქ რუსეთის და ინგლისის ინტერესები ერთმანეთს არ დაპირდაპირებოდენ, ხივა-ბუხარის დღემდის შერჩენილი დამოუკიდებლობა დღემდეც გაქარწყლდებოდა. ეს სახანოები ინგლისმა ერთგვარ ბუფერად გაიხადა რუსეთის ინდოეთისკენ ლტოლვის შესაფერხებლად და ამ საშინელ ომამდის ის ხივა-ბუხარის უფლებებს ფხიზლად სდარაჯობდა.

ამ ომმა მდგომარეობა შესცვალა. რუსეთი და ინგლისი საერთო მტერს ებრძვიან და რუსეთის შიში ინგლისს აღარ [illegible] მასთან ერთად [illegible] მტერს ებრძვის. ოსმალეთის და გერმანეთის შეთანხმებული მოქმედება აზიაში საფრთხეს უმზადებს, როგორც ინგლისს, ისე რუსეთს. სპარსეთის, მცირე აზიისა და ინდოეთის ინგლის-რუსეთის ხელიდან გამოგლეჯა მათ მიზნად აქვთ დასახული და რა გასაკვირველია, რომ ინგლისი და რუსეთი წარსულ მტრობას ივიწყებენ და საშიშ მტერს თანხმობით ებრძვიან. ბელგეთის და საბერძნეთის თავისუფლების შელახვის შემდეგ ხივის სახანოს დაპყრობა არავის არ გააკვირვებს.

## რუსული პრესა

„პეტროგრადის უწყებები“ თბილისის ქალაქის არჩევნების შესახებ საგულისხმო წერილში — „საარჩევნო ქაოსი თბილისში“. სწერს:

„ქართველების დედა ქალაქ თბილისში ხმოსნების არჩევანი ქართველებისთვის მეტად კეთილ სინდისიერად არის განაწილებული:

ხმოსანთა რიცხვი საერთოდ არის 85. აქედან რუსებს 10 ხმოსანი ჰყავთ, ქართველებს—7, მუსულმანებს, რომელთა რიცხვი 35,000 უდრის არც ერთი ხმოსანი არ ჰყავთ, დანარჩენი სულ სომხებისაა. სრულიად ბუნებრივია, რომ თბილისს სომხების ქალაქად სთვლიან. მთავარი ნაწილი სოლოლაკია, სადაც სომხის პლუტოკრატია სცხოვრობს. სოლოლაკი განაგებს არჩევნებს,... მაგრამ როგორ? აი საკითხი? ზებუნებრივი იქმნებოდა, რომ სომხებს თავის ეროვნულ გულისთქმაზე ხელი აეღოთ და სრული მიუდგომლობა გამოეჩინათ. ეს ასე არ არის. სომხები მუდამ თავის სასარგებლოდ აწყობენ საქმეს. და ან რა სარფა აქვთ, რო დასთმონ თავიანთი პოზიცია, როცა გაბატონებული სომხები ქალაქის კავშირიდან გადადებულ ფულიდან თავიანთ სემინარიას ამშვენებენ. სემინარიის კანალიზაციას მოახმარეს 16.000 მან., სემინაარიის კრამიტის საფარი შესცვალეს თუნუქით, რაზედაც დახარჯეს 20.000 მან. ამ გვარად ქალაქთა კავშირი, სახელმწიფო ფულებს შინაურ საქმეებზე ჰფანტავს. გავისენოთ ეხლა ქალაქის მოურავის ბ. ხატისოვის ამხედრება თბილისის პოლიცმეისტერის წინააღმდეგ. პოლიცმეისტერმა ბ. ზდანოვსკიმ სოლოლაკთა ბურჯთაგან 4 ადგილობრივი სომეხი მძარცველი დააპატიმრა: ადელხანოვი, მილოვი, ჩაჩიკიანცი და ოსეპიანცი. აქ ბ-ნი ხატისოვი ამხედრდა პოლიცმეისტერის წინააღმდეგ და განაცხადა: მას ნება არა აქვს ქალაქის გამგეობის საქმეებში ჩაერიოსო.

გარდა ამისა თბილისში „გაბატონებულებმა“, პეტროგრადს გაგზავნეს კომისია სამხედრო-სამრეწველო

## საქართველოს ეკონომიური ცხოვრების მასალები

(გაგრძელება. იხ. „საქარ.“ № 66)

ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელთაც ემყრობა ჩვენი მშრომელი ხალხი ისეთ სამრეწველო დარგს, როგორიცაა მევენახეობა, ცხადად წარმოვიდგება თვალწინ თუ ზემო მოყვანილ ციფრებს დაუპირისპირებთ 1903 წლის სტატისტიურ ცნობებს; დასავლეთ საქართველოში 1903 წელს ვენახებით დაფარული იყო 26037,5 დესიატინა მიწა; მოვიდა დაახლოებით 3.123.872 ფუთი ყურძენი სხვა და სხვა ჯიშისა, აქედან გამოწურეს 2.111,637 ვედრო (ჩაფი) ღვინო და გამოხადეს 1.240.097 გრადუსი სპირტი; ეგ უკანასკნელი ციფრი გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო, რომ საზიანო ატმოსფერულ მოვლენით არ გაეფუჭათ მამული მეტადრე ოზურგეთის მაზრაში, რომელიც იძლეოდა სპირტის უდიდეს რაოდენობას, რაიც აიხსნება მითი, რომ იქაური ყურძენი „ადესა“ (ე. ი. იზაბელა) ძალზე ნაკლები ხარისხის ღვინოს იძლევა, რომელიც მალე მჟავდება და უხეში გემოსია. ამისათვის ამ ყურძნიდან უფრო სპირტსა ხდიან; 1903 წ. აქ გამოხდილი სპირტის რაოდენობა ჩვეულებრივზე 10% ნაკლები იყო. ხოლო ღვინის რაოდენობა კი მთელ 48% ნაკლები. მთელს ამიერ კავკასიაში მოწურულ ღვინის რაოდენობასთან შედარებით დასავლეთ საქართველოში მოსულა 22,5% (თბილისის გუბერნიაში ე. ი. ჩვენებურათ აღმოსავლეთ საქართველოში გაწურულ ღვინის რაოდენობის ურთიართობა ამიერკავკასიის მთელს მოსავლის რაოდენობასთან გამოიხატება 33,6%) სულ მთელს დასავლეთ საქართველოში 1903 წ. მუშაობდა 391 ქარხანა+7 ქარხანა ბათომის ოლქისა და+4 სოხუმისა ე. ი. სულ 402 ქარხანა; ეხლა გავიხსენოთ რომ სხვა და სხვა ჯიშის ვენახებით გაშენებული ბაღების რიცხვი 1903 წ. უდრიდა დაახლოვებით 82.232 ე. ი. ამდენი ბაღი ჰქონდათ გაშენებული იმერეთში; ეგ რიცხვი იმავე დროს მესაკუთრეთა რიცხვსაც გვაჩვენებს;[1]) შევადარებთ რა ამ უკანასკნელ რიცხვს ქარხნების ზემო მოყვანილ რიცხვს, ცხად ვყოფთ ფაქტს, რომ ეგ ქარხნები მუშაობდნენ ნაყიდ საქონელით ე. ი. მეღვინეობას მიუღია მკაფიო მრეწველობითი ხასიათი. მაგრამ ამ მრეწველობის ბაზარი სავსებით განისაზღვრება თვით საქართველოთი, უცხოეთის ბაზარი ჯერ-ჯერობით დახშულია ადგილობრივი ნაწარმოებისათვის. ამის დასამტკიცებლათ მოვიყვანთ შემდეგ ცნობას: მისთვის რომ ადგილობრივმა ღვინომ ტრანსპორტი აიტანოს საჭიროა მისი გაზავება სპირტით, რომ ღვინის სიმაგრე 12° (გრადუსს) მაინც უდრიდეს.

ასეთი გაზავებისათვის დაიხარჯა მთელს ამიერ კავკასიაში:

[1]) ორთა-შუა რიცხვით რომ ვიანგარიშოთ თითო ბაღის რაოდენობა ძალზე მცირეა და უდრის 1/3 დესეტინას. ამით აიხსნება ბაღების რაოდენობის (82,232) სიდიდე ადგილების რაოდენობასთან შედარებით (26,037,5 დესეტინა).

| წლები. | გრადუსი სპირტი. |
|---|---|
| 1898 | 170,000° |
| 1899 | 476,000° |
| 1900 | 304,000° |
| 1901 | 782,000° |
| 1902 | 749,000° |
| 1903 | 2.299,000° |

მთელი ეს რაოდენობა დახარჯულ ყურძნის სპირტისა იმ მიზანს ემსახურებოდა რომ ღვინო გაემაგრებინა და დიდი ხნით შენახვისა და ტრანსპორტისათვის გარდაემუშავებინა, მაგრამ მთელი ეს რაოდენობა ნაწილდება ღვინის მრეწველობის სხვა და სხვა რაიონებზე და არა მარტო დასავლეთ საქართველოზედ.

რაც შეეხება თვითონ სპირტის გაზიდვას ეგ უკანასკნელი გამოიხატებოდა შემდეგი ციფრებით: 1901 წ. დასავლეთ საქართველოში ჰქონდათ სულ 5.591,823 გრადუსი.—აქედან სხვა გუბერნიებიდან შემოტანილი იყო 1.916,427 გრადუსი, სხვა გუბერნიებში გატანილ იქმნა მხოლოთ 498,607 გრადუსი, 1902 წ. იყო სულ 6,003,100 გრადუსი. აქედან სხვა გუბერნიიდან შემოტანილი იყო 4,032,600 გრადუსი. სხვა გუბერნიებში გატანილ იქმნა 121,700 გრადუსი. 1903 წ. სულ მთელი რაოდენობა სპირტისა უდრიდა 4,093,000[1]) გრ. აქედან სხვა გუბერნიებიდან შემოტანილი რაოდენობა=1,818,000 გრ. სხვა გუბერნიებში გატანილი სპირტის რაოდენობა=607000 გრადუსი.

[1]) აქ მოყვანილია ციფრები შესახებ ქუთაისის გუბერნიისა. მთელი დასავლეთი საქართველოს ე. ი. ბათომის, ართვინის და სოხუმის ოლქებიც რომ მივათვალოთ, შესახები ციფრები იქნება: სპირტის მთელი რაოდენობა=7,191,000 გრადუსი; შემოიტანეს 4,892,000; გაიტანეს 1,104,000 გრადუსი. ასე რომ 1903 წ. გაუტანიათ 1,104,000—498,607=605,393-ით მეტი.

ამგვარად თუმცა გატანილ სპირტის რაოდენობა 1903 წ. 1901 წელთან შედარებით 605,393 გრადუსით მატულობს მაგრამ ეგ რიცხვი საქონლის საერთო რაოდენობასთან შედარებით ძალზე მცირეა, მაგრამ მაინც საინტერესოა სხვა გუბერნიებში გატანილ საქონლის პროცენტიული რაოდენობა სპირტის მთელ რაოდენობასთან შედარებით: ეს გამოიხატება აღნიშნულ სამი წლისათვის ასე: 9% (8,9), 2% (2,02%) და 14% (14,8%)[3]) დანარჩენი საქონელი. ტრიალებს თვით დასავლეთ საქართველოს საზღვრებს შიგნით. სპირტის ქარხნები და ამ ქარხნებში გამოხდილ სპირტის რაოდენობა შემდეგნაირად იცვლებოდა წლებში:

1899 წ. მუშაობდა 358 ქარხანა; გამოხადა სულ 2.922,597 გრადუსი; 1900 წ. მუშაობდა 397 ქარხანა, გამოხადა 3.441,652 გრ.; 1901 წ. მუშაობდა 335 ქარხ., გამოხადა 1.971,356 გრ.; 1902 წ.—425, გამოხ. 1.354,450 გრ.; 1903 წ.—393, გამოხ. 1.194,109 გრადუსი.

ამ ციფრებში არ შედის ართვინის ოლქში წარმოებული ბჟოლის სპირტის მრეწველობა, რომელზედაც მუშაობდა მაგ. 1903 წ. 74 ქარხანა და გამოხადა 62.753 გრადუსი [4]).

[3]) ეგ ციფირი მოწმობს შესახებ ქუთაისის გუბერნიისა; მთელი დასავლეთ საქართველოს შესახები ციფირი იქნება 15,2%.

[4]) ეგ მრეწველობა შემდეგნაირად სურათდება ხუთიოდე წინა წლების ციფირებით:

1897 წ.—85.000 გრ.; 1898 წ.—66.325 გრ.; 1899 წ.—45.000 გრ.; 1900 წ.—40.000 გრ.; 1901 წ.—38.821 გრ. ეგ საქონელი ფრიად ნაკლები ხარისხის არის და ვერ უძლებს ყურძნის სპირტის კონკურენციას. უდიდეს რაოდენობას ბჟოლის სპირტისას ამიერ კავკასიაში იძლევა ელიზავეტპოლის გუბერნია.

მთელს ამიერ კავკასიაში გამოხდილ სპირტის რაოდენობასთან შედარებით დასავლეთ საქართველოში გამოუხდიათ 1903 წ. 5,5% (აღმოსავლეთ საქართველოში-კი 21,4%). [5]) ვენახების საერთო ფასი დასავლეთ საქართველოში 1901 წ. უდრიდა დაახლოებით 25 მილიონ მანეთს; მცხოვრებთა მთელ რაოდენობის 38%-ს ქონდა თავისი ვენახი; და ყურძნის მოსავლის 68,8% მიდიოდა ღვინის გასაწურავათ, დანარჩენი კი ხმარდებოდა ხილად გაყიდვასა და მაგარ სასმელების გამოხდას (მეტადრე ოზურგეთის მაზრა); 1902 წელს ვენახებით დაფენილ სივრცის საერთო ფასი უდრიდა დაახლოვებით 26 მილიონს; ვენახების რაოდენობის ურთიერთობა (Verhältnis—отношенie) კომლთა რაოდენობასთან გამოიხატება 58,6% [6]) და დასავლეთ საქართველომ გაწურა 26,8% ამიერკავკასიაში გაწურულ ღვინის მთელი რაოდენობისა. (აღმოსავლეთ საქართველოში გაწურეს 33% იგივე რაოდენობისა)

1903 წ. დასავლეთ საქართველოს ვენახების საერთო ფასი 26 მილ. მან. უდრიდა. პროცენტული ურთიერთობა ვენახების რიცხვისა და კომლთა რიცხვის შორის გამოიხატებოდა 55,5%-ით. [7]) სოფლის მეურნე არაფერს იშურებს, რომ დროის შესაფერი ვენახი გაიშენოს და მის მეურნეობას მრეწველობითი ხასიათი მიეცეს. კვლევის დროს ეს მშვიდი მიზან-შეწონილი მუშაობა თვალში გეცემათ მეტადრე შორაპნის მაზრაში, სადაც 1903 წ. პროცენტიული ურთიერთობა ვენახის ბაღების რიცხვისა კომლთა რიცხვთან შედარებით გამოიხატება—100,1%, მეორე ადგილი უჭირავს ოზურგეთის მაზრას (83%); მესამე ქუთაისის მაზრას (73,8%). მრეწველობით ხასიათს ღებულობს აგრეთვე **თამბაქოს კულტურა**, რომელიც ვითარდება დასავლეთ საქართველოს მხოლოდ განსაზღვრულ რაიონებში, [8])

[5]) ხსენებულ **პროცენტიულ** რაოდენობის უდიდესი მაჩვენებელი 31% მოდის განჯის გუბერნიაზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ დასავლეთ საქართველოში მაგარი სასმელების გამოხდა წარმოებდა გარდა ბჟოლისა და ყურძნისა სხვა და სხვა ხილეულობიდან. აბ წარმოებას გვიხატავს ჩვენ შემდეგი ციფრები:

1897 წელს სხვა და სხვა ხილეულობიდან გამოხადეს 10.230 გრადუსი, 1898 წ.—1.110 გრ., 1899 წ.—1293გრ., 1900 წ.—5.705 გრ., 1901 წ.—1.570 გრ., 1902 წ.—„ 1903 წ. 1.810 გრ.

როგორც ვხედავთ ამ დარგის მნიშვნელობა საერთო სახალხო მეურნეობაში ძალზე მცირეა.

[6]) აღმოსავლეთ საქართველოში ეგ ურთიერთობა გამოიხატებოდა 45%.

[7]) აღმოსავლეთ საქართველოში ეგ პროცენტული რაოდენობა გამოიხატება 45%. ვენახების საერთო ღირებულება უდრიდა 1901 წ. 20 მილიონს; 1902 წლებში 21 მილიონ მანეთს.

[8]) თამბაქოს მრეწველობის რაიონია დასავლეთ საქართველოში სოხუმსა და ბათომის (ართვინის) ოლქი; აღმოსავლეთ საქართველოში: ალაზნის ხეობა (სიღნაღის მაზრა)

კომიტეტის საჭიროებისათვის (სამხედრო მასალის გაკეთების შესასწავლად) ორი სომეხი: აფრიკიანი, ფართლეულობის ვაჭარი, ღ ენფიანჯიანცი—მეთამბაქოე.

საქმის შესწავლას ორი თვე მოუნდნენ, დაბრუნდნენ თბილისში და მოახსენეს,—თავიანთი შთაბეჭდილებანი: სამხედრო მრეწველობის კომიტეტები მეტს ფიქრობენ სასახელმწიფო სათათბიროზე, პასუხისმგებელ სამინისტროზე, ვიდრე სამხედრო მასალის შეძენაზე.

კავკასია მოშორებულია ცენტრიდან, ამისათვის შეუძლებელია, 5 ლუდის და 3 არაყის ქარხანა რამე საჭიროებისათვის მოვიხმაროთ, რადგანაც ეს კერძო საკუთრების დარღვევა იქნება. გოლდლიუსტის ასანთის ქარხნის მოხმარებაც არ შეიძლება, ვინაიდან, იქ სომეხ გადმოხიზნულთა თავშესაფარია“. ასე აკეთებენ სომხები თავიანთ შინაურ საქმეებს. ეს ყველაფერი სოლოლაკელთა ოინბაზობას მიეწერება. თუმცა მათი პრესა სამართლიანობაზე მალ მალე სწერს, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლის, რომ თბილისის სვე-ბედი 76 პროც. სომხის წარმომადგენელთათვის მართველობის ხელში იყოს. მაგრამ მოგეხსენებათ, სიტყვა სხვაა და საქმე სხვაა.“

შემდეგ გაზეთი ეხება იმ საკითხს, თუ რამდენათ სჩაგრავს საქალაქო არჩევნებში სომხობა ყველას—ქართველს, რუსებს, მუსულმანებს და სხვ. სჩაგრავს და სურს ბოლომდე იბატონოს.

გაზეთი ეხება იმ საკითხსაც, თუ სომხობა რამდენად ორგანიზაციულად შეკავშირებული მოქმედობს არჩევნებში, ქართველები, რუსები და მუსულმანები-კი გულგრილობას იჩენენ. ბოლოს ამბობს: უკანასკნელ ხანებში ქართველთა შემეცნება გაფართოვდა და მეტ საქმიანობას იჩენს ეროვნულ საკითხებში. განსაკუთრებულ ღირებულობას აკუთვნებს ახლად დაარსებულ ეროვნულ პარტიას, რომელთა ორგანოთაც „საქართველო“-ს აღიარებს. მაგრამ „საქართველოებმა“ გაითვალისწინეს-რა, რომ საარჩევნო უბნები ისეთ ფარგლებში დარჩა, რომელიც ხელსაყრელია მხოლოდ სომხებისათვის, ბოიკოტს უცხადებს არჩევნებს. გაზეთი სასურველად სთვლის ქართველ ძალთა შეთანხმებას სამშობლოს სასარგებლოდ.

# დეპეშები

(პეტროგრადის საკუთარ კორესპ.)

„დეილი ტელეგრაფი“ იტყობინება: უკანასკნელს იერიშებში ვერდენთან მთავარ მონაწილეობას ჭავარიის ჯარი ღებულობს.

—

„ბირჟ. ვედომოსტ-“ს კოპენჰაგენიდან ატყობინებენ: ჰოლანდიის მთავრობა ომისთვის გაფაციცებით ემზადებაო. ხშირად აქვთ თათბირი მინისტრებს. ყველა დარწმუნებულია, ჰოლანდია მალე ომში ჩაერევაო.

—

აზრუმში მომქმედ ოსმალეთის სარდალ ტეფფიკ-ბეისთვის, რომელიც სამხედრო მინისტრ ენვერ-ფაშას განკარგულებით პასუხის-გებაში მისცეს, სასამართლოს სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტია. ახლა ბუქარესტიდან იტყობინებიან, ეს განაჩენი სტამბოლში უკვე სისრულეში მოიყვანესო.

—

მაკედონიის ასპარეზზე მოწინავე რაზმების მცირე შეტაკებების შემდეგ სრული სიწყნარე ჩამოვარდა.

—

მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეს შტიურმერს სადარბაზოდ მიუღია ფრანგულ გაზეთ „ჟურნალ“-ის თანამშრომელი და უსაუბრია პოლონეთის თაობაზე. პოლონეთის საკითხი, მინისტრის აზრით, სახელმწიფო საკითხია და მაშასადამე სავალდებულო რუსეთის მთავრობისთვისო. ამასთანავე შტიურმერმა განუცხადა, მთავარ-სარდლის დაპირებანი ყველასათვის დაკანონებულიაო.

ლ. ჯ.

—

(მოსკოვის საკუთ. კორესპოდენტ.)

როგორც მოსკოვის გაზეთებს სარწმუნო წყაროებიდან ატყობინებენ სამხედრო სამზადისი ჰოლანდიაში მიმართულია ინგლისის წინაამდეგ. ჰოლანდიის მთავრობას დანამდვილებით შეუტყვია: იმ მოსაზრებით რომ სრულიად მოსპოს გერმანეთთან რაიმე სანოვაგის და სამხედრო მასალის შეტანა ინგლისს გადაწყვეტილი აქვს გააძლიეროს ბლოკადა და ჰოლანდიის მიწა-წყალზედ ჯარი გადასხას.

—

ამერიკის პრესსა ერთხმად ირწმუნება: ინგლისის სანაპიროებში უფრო კი ჩრდილოეთის ზღვაში გემების მიმოსვლა უფრო სახიფათო შეიქმნება, რადგან გერმანეთი მოკლე ხანში საშინლათ გააფართოვებს წყალქვეშა ნავების თარეშს.

—

— დეილი ტელეგრაფი“ არწმუნებს მკითხველებს. კავკასიის ასპარეზზე კაზაკთა რიცხვი 30 ათას არ აღემატებაო.

—

გაზეთ „უტრო როსიის“ აზრით, იმის შემდეგ, რაც რუსის ჯარი შევიდა და ქ. ხივა დაიპყრო, ხივის სახანოს დამოუკიდებლობა სრულიად გაუქმებულად უნდა ჩაითვალოსო.

—

ოსმალეთი თანახმაა ნება დართოს და მიიღოს სტამბოლში რუსეთის წარმომადგენელი, რომელიც უნდა დაეხმაროს ამერიკის საელჩოს რუსის ქვეშევრდომთა ინტერესების დაცვის საქმეში. რუსეთის მთავრობაც დასთანხმდა, ოსმალეთმაც იყოლიოს თავისი წარმომადგენელი პეტროგრადში.

გ. ვ.

(ბათონ. საკ. კორესპოდ.)

ბათუმის ქალაქ. თავი თ-დ ანდრონიკაშვილი თანამდებობას თავს ანებებს. როგორც ამბობენ იგი მიუწვევიათ ქართველთა ერთ ერთ სააქციონერო საზოგადოების მთავარ გამგედ.

—

მაგრამ მაინც საყურადღებო როლს თამაშობს სახალხო მეურნეობაში. ამ დარგის თანდათანობით ზრდას საუცხოვოთ ახასიათებს შემდეგი ციფრები:

| წლები. | პლანტაციების რიცხვი. | პლანტაციების საერთო რიხვი. | საერთო მოსავალი. |
| --- | --- | --- | --- |
| 1898 | 6.898 | 3.299,3 დესეტ. | 179,647 ფუთი |
| 1899 | 6.675 | 3.211,1 „ | 173.081 „ |
| 1900 | 8.025 | 3.814,5 „ | 196.638 „ |
| 1901 | 6.583 | 3.019 „ | 154.917 „ |
| 1902 | 8.229 | 4.100,5 „ | 217.980 „ |

ასეთია სურათი თამბაქოს კულტურისა*) მაგრამ ამას გარდა თამბაქო მოჰყავთ აგრეთვე არა სამრეწველო, სამეურნეო ანუ საოჯახო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად (მაშინ თითო პლანტაცია 50 ოთხკუთ საჟენს არ უნდა აღემატებოდეს სივრცით), აგეთი პლანტაციების სურათს იძლევა შემდეგი ციფრები:

| წლები. | პლანტაციების რიცხვი. | პლანტაციების საერთო რიც. | საერთო მოსავალი. |
| --- | --- | --- | --- |
| 1898 | 10.848 | 46,5 დესეტ. | 2.647 ფუთი |
| 1899 | 9.005 | 37,6 „ | 1.940 „ |
| 1900 | 13.627 | 63.1 „ | 3.452 „ |
| 1901 | 8.404 | 43,0 „ | 2.428 „ |
| 1902 | 8.548 | 46,6 „ | 2.256 „ |

ტიტე მარგველაშვილი.

(შემდეგი იქნება)

*) აღმოსავლეთ საქართველოში იგივე დარგის სურათი გამოიხატება შემდეგ ნაირად:

| | | | | | | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 1899 წ. | იყო | 1.366 | პლანტ. | სულ | 507,6 | დეს. | მოვიდა | სულ | 39,040 | ფუთი. |
| 1900 „ | „ | 1.754 | „ | „ | 633,8 | „ | „ | „ | 53,321 | „ |
| 1901 „ | „ | 1.138 | „ | „ | 360,4 | „ | „ | „ | 18.999 | „ |
| 1902 „ | „ | 1.883 | „ | „ | 730,8 | „ | „ | „ | 58.312 | „ |
| 1903 „ | „ | 2.073 | „ | „ | 843,4 | „ | „ | „ | 79.347 | „ |

(პეტროგ. სააგენტ. დეპეშებიდან)

ვერდენის დასავლეთით მაასის მარცხენა ნაპირებზე გერმანელებმა იერიში მიიტანეს ოკურისა და ბეტანკურის შუა მდ. ფორჟის მარცხენა ნაპირზე მდებარე პოზიციებზე. ფრანგებს ეს პოზიციები ჯერ კიდევ 19 მარტს დაუცლიათ შეუმჩნევლად. აღმოსავლეთით ფრანგებმა სოფ. ვოს ნაწილი დაიბრუნეს.

—

ცეპელინები განაგრძობენ თარეშს ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროებზე, სადაც 22 ამაფეთქებელი ყუმბარა ჩამოაგდეს და 15 ცეცხლის მომდები. აღმოსავლეთ საგრაფოებში ჩამოჰყარეს 33 ასაფეთქებელი და 65 ცეცხლის მდებელი ყუმბარა.

—

კავკასიის ასპარეზზე რუსები წინსვლას განაგრძობენ.

—

გერმანეთის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ერთი ბარკასი.

—

გერმანელები საშინლად ამაგრებენ ბელგეთის საზღვრებს, რომ მზად დახვდნენ, თუ მართლა ჰოლანდიაში ინგლისელები ჯარებს გადმოსხმენ.

—

ლონდონის გაზეთები ადასტურებენ, რომ ცეპელინების უკანასკნელმა უმაგალითო თავდასხმამ შიშის ზარი დასცა და დიდს სასოწარკვეთილებაში ჩააგდო მთელი ინგლისი. ამ თავდასხმამ სრულიად ჩაჩრდილა ის შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა შავ ზღვაზე გერმანელებისაგან ვერაგულად გემის დაღუპვამ.

# ახალი ამბავი

✦ **მეფის ნაცვალმა** თელავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანაშემწედ დაამტკიცა სამსახურ გარეშე მყოფი გენერალი თ-დი სოლომონ კონსტანტინეს ძე მაყაშვილი 3 წლის ვადით.

✦ **თავად-აზნაურთა კრება.** თბილისის გუბერნატორმა ნება დართო სათავად-აზნაურო საგანგებო კრების მოწვევის შესახებ მიმდინარე წლის 5 აპრილს. კრებამ უნდა განიხილოს თბილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო ერთ-ერთი დამხმარე კასის დაარსების საკითხი.

✦ **კრედიტის გახსნა.** ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო კომისიას უკვე გადაუწყვეტია 10,000 მანეთის კრედიტი გაუხსნას ქართველ ხელოსანთა მესამე შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას.

✦ **ტრაღიკული ამბავი.** 22 მარტს გენერალ თ-დ ალ. ვაჩნაძის ბინაზე (ვაკეში), შემაძრწუნებელი სურათი გადაეშალათ მშობლებს. საღამოს 9 საათზე თ-დ ვაჩნაძის შვილმა გიორგიმ მეოთხე ვაჟთა გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფემ ბერდანის თოფით თავი მოიკლა. მიზეზი მკვლელობისა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია. გიმნაზიის მთავრობას ბოლო დროს მშობლები გამოეწვია განსვენე*ულის სწავლის ნიშნების შესახებ.

✦ **გეგმა პანთეონისათვის.** ხვალ, 25 მარტს, დილის 1 საათზე, კრება ექნება საგანგებო კომისიის, რომელსაც დავალებული აქვს შეიმუშაოს გეგმა ქართველ მოღვაწეთა პანთეონისა.

✦ **წევრად ჩაწერა.** ცნობილი კომერსანტი და ქველმოქმედი სტეფანე სიმონის ძე ელიაძე წევრად ჩაეწერა ქართველ ხელოსანთა მესამე შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში.

✦ **სახალხო ლექცია.** ხვალ, 25 მარტს, დღის 12 საათზე, წმ. ნიკოლოზის (12 თებერვლის ქუჩა) სამრევლო სკოლის დარბაზში ილია ნაკაშიძე გამართავს ქართულ ენაზე სახალხო ლექციას. იგივე ბ-ნი ილია ნაკაშიძე შაბათს, 26 მარტს, საღამოს 6 საათზე, ქართველ ქალთა უსასყიდლო სასადილოს დარბაზში (მატერიალნი ქ., სახ. 16) გამართავს ქართულ ენაზე საბავშვო კითხვას ბუნდოვანი სურათებით.

✦ **საგანგებო კომისია,** რომელიც წარსულ ზაფხულში აირჩია თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების წლიურმა კრებამ და რომელსაც ამ კრებისაგან დავალებული ჰქონდა გამოერკვია ქართულ გიმნაზიაში ზოგიერთ მოსამსახურეთა მიერ ჩადენილი უკანონობანი, უკვე დაამთავრა თავისი მუშაობა და ყველა მასალას წარუდგენს აღნიშნულ საზოგადოებას წლიურ კრებას მაისში.

✦ **მადლობის გამოცხადება.** წითელი ჯვრის საზოგადოების რწმუნებულისაგან სამადლობელი დეპეშა მოუვიდა თბილისის ქალაქის თვითმართველობას თანაგრძნობის გამოცხადებისათვის სასანიტარო გემის „პორტიუგალის“ და სანიტართა დაღუპვის გამო შავ ზღვაში.

✦ **სამსახურიდან გადადგომა.** როგორც სარწმუნოდ გავიგეთ, ცნობილ აკაკი ხოშტარიას თავისი საქმეების გამგეთ სპარსეთში აუყვანია ბათომის ქალაქის მოურავი თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი. ამ უკანასკნელმა უკვე წერილობით აცნობა ქალაქთა კავშირის კავკასიის კომიტეტს, რომ ქალაქის მოურაობას და ქალაქთა კავშირის ბათომის კომიტეტის თავმჯდომარეობას ვსტოვებო.

✦ **წერა-კითხვის საზოგადოებას** 1915 წლის შემოსავალი ნავარაუდევი ჰქონდა ხარჯთ-აღრიცხვით 51.517 მან. 31 კაპ., ნამდვილად შემოვიდა 60.863 მან. 10 კაპ., ე. ი. 9.345 მან. 79 კაპ. მეტი. იმავე ხარჯთ-აღრიცხვით ნავარაუდევი იყო გასავალი 51.517 მან. 31 კაპ., ნამდვილად კი დაიხარჯა 48.838 მან. 89 კაპ., ე. ი. 2.678 მან. 42 კაპ. ნაკლები. ამ რიგად მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის დარჩა 12.024 მან. 21 კაპ.

✦ **ყველა გასართობები** თეატრ-კლუბ-პროექტორებში დღეს აღკრძალულია.

✦ **ჯამაგირების მომატება.** წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაადგინა, ომის გათავებამდე მიმდინარე წლის 1 იანვრიდან ჯამაგირები მოუმატოს საზოგადოების ყველა დარგის მოსამსახურეთ შემდეგის წესით: 1) ვინაც 500 მანეთზე ნაკლებს ღებულობს, უნდა მიემატოს 25%, 2) ვინაც 500-დან 900 მანეთამდე ღებულობს 15% და 3) ვინაც 900 მანეთზე მეტს—10%. მომატებული ფულის ჯამი მიმდინარე წლის დამლევამდე უდრის 4003 მანეთს.

✦ **მასწავლებლის გამწესება.** ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ ყალამშიის (ბორჩალო) სკოლის მასწავლებლად გაამწესა ქ-ნი არეთა ქიქოძე.

✦ **ერთდროული დახმარება.** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ 100 მან. გადასდო პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტების, ა. ციციშვილის სასარგებლოდ ერთდროულ დახმარების სახით.

✦ **ქართულ საგალობლების** ფირფიტებზე გადასაღებად წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ 200 მანეთი მისცა ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებას.

✦ **სეირნობის გამართვა.** წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაავალა თავის წევრს ქ-ნ ნინო ნაკაშიძეს შეუდგეს სახალხო სეირნობის მოწყობას, რომელიც ამ გაზაფხულზე უნდა გაიმართოს საზოგადოების სახსრის გასაძლიერებლად.

✦ **სახელმძღვანელოს გამოცემა.** ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობამ განიხილა და მოიწონა სასკოლო სექციის დადგენილება შესახებ იმისა, რომ შესწორებულ იქმნას ი. გოგებაშვილის „დედა-ენის“ მე-II ნაწილი ქართველ მაჰმადიანთა სკოლებში სახელმძღვანელოდ.

✦ **ფქვილი.** ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ მიიღო ბალაჯარის გზით 16 ვაგონი ფქვილი.

✦ **ფერშლების ძებნაში.** ქალაქთა კავშირი კავკასიის ფრონტისთვის ეძებს ფერშლებს, რომელთაც მიეცემათ ჯამაგირათ თვეში 100 მანეთი და დღიურ სახარჯოთ 60 მანეთი თვეში.

✦ **თეთრ ბილეთიანების შემოწმება.** იმ აფიცრების და სამხედრო საკლასო ჩინის მქონე პირი, რომელთაც თეთრი ბილეთები აქვთ სამხედრო ბეგრის საკრებულოები შეამოწმებენ მიმდინარე წლის 4 აპრილს.

✦ **დიდუბის ტაძრის** საჭიროებისათვის ამ ტაძრის კრებული იძენს მომიჯნავე მიწის ნაჭერს ზომით 2400 ოთხკუთხ საჟენს, რომელიც ეკუთვნის ბ. შლეიგერს.

✦ **შემოიტანეს** თბილისში 22 მარტს: ფქვილი 22 ვაგ., სიმინდი 1 ვაგ., შაქარი 1 ვაგ., კარტოფილი 1 ვაგ., შეშა 14 ვაგ., ქვანახშირი 1 ვ., ქერი 2 ვაგ., ნავთი 3 ვაგ., დაუწმენდავი ნავთი 43 ვაგ., თევზი 1 ვაგ., ზეთი 1 ვაგონი.

✦ **სტუდენტების გაწვევა ჯარში.** სტუდენტები, უმაღლესი სასწავლებლებისა გარდა მედიკურ ფაკულტეტის, რომელნიც დაბადებულნი არიან 1895 წელს, პირველ კურსზე ითვლებიან (პირველ და მეორე სემესტრზე) და ამჟამად თბილისში სცხოვრობენ ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ შეიტანონ თბ. სამხედრო ბეგრის საკრებულოში განცხადებანი და თავისი ბინაც აღნიშნონ, რათა შემოწმების შემდეგ სამხედრო სასწავლებელში ჩაირიცხონ.

✦ **დედის მოკვლა.** ს. ერედში (გორის მაზრა) სულით ავადმყოფ ვ. ბორცვაძეს ყელი გამოუჭრია თავისი დედისათვის.

✦ **თბ. სამხედრო ბეგრის საკრებულო** ამ ჟამად ადგენს დამატებით სიებს იმ პირთა შესახებ რომელნიც დაბადებულნი არიან 1897 წელში და რომელნიც გაწვეულ უნდა ყოფილიყვნენ 1918 წელს ე. ი. ვადაზე ადრე. გაწვევის ვადა ჯერ არ არის გამოცხადებული.

✦ **მოხსენება.** პარასკევს, 25 მარტს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში ა. ი. ხატისოვი ვრცელ მოხსენებას წაიკითხავს ქალაქთა კავშირის წარმომადგენელთა მე-4 კრების მუშაობის შესახებ.

✦ **ჯარისკაცის გვამი.** მახათის მთასთან აღმოაჩინეს ყელ გამოჭრილი გვამი ქვეითა ჯარისკაცის კ. ფარყენსკისა.

✦ **ღვინის მოთხოვნილება.** კიევიდან ჩამოვიდნენ ვაჭრები, რომელთაც კახურ ღვინის შეძენა ჰსურთ. სხვათა შორის ერთ მოვაჭრეს 200 ათას ვედრო წითელი ღვინო ესაჭიროება.

✦ **გადამდები სნეულებანი.** გუშინ, 23 მარტს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 123, ხუნაგიანი 14, ყვავილიანი 1, სახადიანი 117 (ამათ შორის 86 კაცი სამხედრო წოდებისა), საოფლიანი 8 და ხოლერიანი 1 კაცი.

✦ **„მეურნე“.** კოოპერატიულ ამხანაგობა მეურნეში“ წევრთა ჩაწერა განიწყვეტლივ სწარმოებს. ვაჭრობაც დაიყო ფართედ. პირველ დღეს უვაჭრია 635 მანეთი. ამხანაგობას განუწყვეტლივ მოსდის სხვა და სხვა სანოვაგეულობა სეზონისა და მიხედვით. ფასები ყველა საგანზე ნაკლებია ვიდრე კერძო სავაჭროებში.

✦ **ქართული დასი** ხვალ, 25 მარტს, ქ. გორში ვ. გუნიას მეთაურობით მართავს წარმოდგენას. დადგმული იქნება პიესა „მეზობლები“ ტ. რამიშვილისა.

✦ **ოჯახური დრამა.** როგორთაც თბ. გუბერნატორის კანცელარიას ატყობინებენ ქ. სიღნაღში ექიმ ნ. ტ—ს ხელ ფეხი შეუკრავს თავის მეუღლისათვის და მსახურთა დახმარებით დახრჩობა დაუპირებია, მაგრამ ადგილობრივ ბოქაულის წყალობით, რომელსაც დროზე გაუგია ეს ამბავი, საბრალო ქალი სიკვდილისაგან გადაურჩენია.

✦ **მანქანის შეძენა.** როგორც ვიცით, ქალაქის საბჭომ 210,000 მანეთი გადასდვა საელექტრონო სადგურისათვის მანქანის შესაძენათ. ქალაქის გამგეობას ერთად-ერთი მანქანა უპოვია სტოკჰოლმში, რომელსაც ქარხანა 220,000 მანეთად აფასებს, მაგრამ მანქანის ადგილობრივ გამოცდის ნებას არ იძლევა. გარდა ამ მიზეზისა მეორე დამაბრკოლებელ მიზეზს წარმოადგენს მანქანის მოტანა თბილისში. მანქანა-კი აუცილობლად საჭიროა ელექტრონის სადგურისათვის და ქალაქის გამგეობას ვერ გადაუწყვეტია როგორ მოიქცეს. საქმის მცოდნე პირები ურჩევენ გამგეობას, რომ ქარხანა თუ საიმედოა, უთუოდ უნდა იყიდოთ მანქანაო, რადგან ეხლანდელ დროში სხვაგან არსად შეიძლება მისი მოპოვებაო. გამგეობას აზრად აქვს მთავრობისაგან დასტური აიღოს, რომ მანქანის გადმოტანაში ხელს მოუმართავს მას.

✦ **სააგარაკო საზოგადოებას** კრება ექნება შაბათს, 26 მარტს. კრების საგანს შეადგენს, სხვათა შორის: 1) განხილვა საჭირო ხელშეკრულობის პროექტისა ახტალის სამკურნალო წყაროების პატრონთან; 2) არჩევა რწმუნებულებისა, რომელთაც დაევალება საზოგადოების სახელით საიჯარო პირობით შეეკრას აღნიშნულ წყაროების პატრონებს; 3) მოხსენების განხილვა შეეხება აბასთუნისა, ბორჯომისა, ახტალისა და დელეჟანის კომისიების დაარსებისა საზოგადოების საბჭოსთან და 4) განხილვა მოხსენებისა 600 მანეთის გადადების შესახებ 6 თვის განმავლობაში ცნობების შემკრებ ბიუროს შესანახად.

✦ **მიწის მზომელთა საზოგადოება.** კვირას, 20 მარტს, წლიური კრება ჰქონდათ კავკასიის მიწის მზომელთა საზოგადოების წევრთ. კრებამ განიხილა საფინანსო და მოქმედების ანგარიში 1915 წლისა და სარევიზიო კომისიის მოხსენება ამ საგნის შესახებ. შემდეგ მოხდა არჩევნები: საბჭოს წევრებად აირჩიეს ბ-ნნი სოკოლოვი და სუვოროვი; კანდიდატებად—ბ-ნნი მარუაშვილი და ვასილიევი; სარევიზიო კომისიის წევრებად —ბ-ნნი დგებუაძე, გვანცელაძე, კუსკოვი, საფაროვი და კარიანინი.

✦ **ქალაქის სასანიტარო კომისიამ** შუამდგომლობა აღძრა, რათა დაწესებულ იქმნეს მორიგეობა სავაჭრო-სამეურნეო უფროს ზედამხედველობისა, კახეთის მოედანსა, სალდათის ბაზარსა და თათრის მოედანზე.

# გამომცემი ამხანაგობა „საქართველო“

როგორ ვიცით თბილისში დაარსდა გამომცემი ამხანაგობა „საქართველო“, გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის თაოსნობით „საქართველოს“ ერთ-ერთ ნომერში ამხანაგობის დამფუძნებელ წევრებად დასახელებულნი იყვნენ კარგად ცნობილნი, პატივცემულნი პირნი ბაქოდან: ბ.ბ. **ი. იულ. დადიანი, ლევ. ქაიხ. მამულაიშვილი ღ ნიკ. იოს. ჯაყელი,** კავკავიდან: **იას. ლორთქიფანიძე,** ქუთაისიდან: **რ. ყ. დათეშიძე, გიორ. ის. პურადაშვილი,** პეტროგრადიდან: **დ. ზ. ქიაბრიშვილი,** თბილისიდან: **ალ. თევ. ყიფშიძე, გრ. ზაქ. ქურდიანი, ივ. სპ. ელიაშვილი, ად. ზურ. ბერელაშვილი, ილ. მიხ. ხარაშვილი, ი. ი. გველესიანი** ღ სხ. შემდგარ ამხანაგობას მიზნად აქვს დასახული ჟურნალ-გაზეთების ბროშურების და წიგნების გამოცემა. ამ მიზნით საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში ის ამხანაგობა მართავს კიოსკებს კანტორებს, მაღაზიებს და სხვ. ერთის სიტყვით ქართული წიგნის გამოცემა და გავრცელება სდგება მკვიდრ ნიადაგზე და მას სისტემატიური, მეთოდიური ხასიათი ეძლევა. ამხანაგობა „საქართველოს“ ძირითად თანხად ასი ათასი მანეთი აქვს ნავარაუდევი. მთელი ეს ფული პაიების საშუალებით გროვდება. პაიებია ორგვარი: ხუთი თუმნიანი და ოცდა ხუთი თუმნიანი. საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში თანამგრძნობნი საქმის მოგვარებას შეუდგნენ.

ქალაქი ქუთაისი ამ ახალ საქმეს დიდის თანაგრძნობით მიეგება. ვიწრო წრეებში რამდენიმე წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ ამ საქმის მოგვარების საკითხმა დიდძალი თანამგრძნობი მიიზიდა, საზოგადოების თითქმის ყველა წრიდან. ამხანაგობის მიზანს თანაგრძნობი ალტაცებით შეხვდნენ. აღფრთოვანებით მიესალმნენ გაზეთ „საქართველო“-ს თაოსნობას და საქმიანობას, აირჩიეს ქალაქ ქუთაისისთვის საგანგებო კომისია, ხელის მოწერის მისაღებად. იქვე თათბირის დროს უცებ შეგროვდა რამოდენიმე ათასი მანეთი. კომისიაში მომქმედნი და ყოვლად პატივცემულნი პირნი მოჰყვნენ, რაიც საქმის სწრაფ წარმატებას ხელს შეუწყობს.

ვუსურვებ სრულს გამარჯვებას!

ქუთათელი.

# ვერდენის გარშემო

გერმანელთა არტილერიის ჰიპნოზი კვლავ ვერდენის გარშემო იპყრობს მთელი ქვეყნიერების ყურადღებას. ჟრუანტელ მომგვრელია თუნდა ერთიორი დღით ბრძოლის შეჩერება. რა ხდება? შეჩერდნენ? კვლავ განაგრძობენ? ამ საიდუმლო კითხვებს უმალვე მოჰყვება სამხედრო მიმომხილველთა სოფიზმები, მათი ახირებული დაჟინებანი, რომელთაც უფრო სიმპატია-ანტიპატია იწვევს, ვიდრე მდგომარეობის ობიექტიური განხილვა და საქმის აწონ-დაწონვა. რა თქმა უნდა, სამხედრო მიმომხილველთ შეცდომა ათას ცრუ კორესპონდენტთა მოწვდილ ამბებიდან მოსდით, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ხშირად უსაბუთოდაც კალმის მოსმით რო სწყვეტენ ქაღალდის ბრძოლის ველზე ნამდვილ ომის ასპარეზთა საკითხებს,—აი ეს არის სასაცილო!

შეფასება ვერდენის ოპერაციებისა ჯერ კიდევ 8 თებერვლიდან სასტიკ კრიტიკას განიცდის. სიგიჟეა ეს თუ სტრატეგიული სიბრძნე? ამაზე საპასუხოდ ზეპირსიტყვაობა ცოდვად მიგვაჩნია, თუ თვით საფრანგეთის რუკას არ დავხედავთ. რეინიდან მოყოლებული გერმანელთ საფრანგეთში შესასევად სამი გზა აქვთ დასავლეთით და სამხრეთით. პირველი გზა კიოლნიდან ბელგეთის საზღვარით მდ. მაასამდე მიდის, თითქმის ლიეჟთან და საფრანგეთის ტერიტორიაში მობეჟით შედის. აი ამ მხრით რკინის გზა აერთებს პარიზს ბერლინთან. ეს ისტორიული გზა გახლავთ. ამ გზით წამოვიდნენ მოკავშირენი საფრანგეთის რევოლიუციის დროს... მეორე ბუნებრივი გზა მოდის კობლენციდან, მოზელის ღელეთი შედის ლიუქსემბურგის სამთავროში, აქედან უხვევს მეცის ჩრდილოეთით და შემდეგ სჭრის საფრანგეთის საზღვარს ლონგვისთან. ეს გზაც ისტორიულია. ამ გზით ბრაუნშვეიგის მთავარი შეესია საფრანგეთს იმავე რევოლიუციის დროს. მოკავშირეებმა ალყა შემოარტყეს ვერდენის ციხეს, რომელიც დანებდა მოკლე ხანში. მესამე გზა რეინის ღელეს მოსდევს მაინციდან სტრასბურგამდე და საფრანგეთის საზღვარს სჭრის ლიუნე-

ვილთან და ნანსისთან, შემდეგ პირდაპირ ცენტრში იჭრება ეპინალისა და ტულის სახელოვან ციხეთა შორის. ესეც ისტორიული გზა გახლავთ და საფრანგეთს ჯერ კიდევ მე-XVII საუკუნემდე არა ერთი და ორი შემოსევის სიმწარე განუცდია.

საფრანგეთ — პრუსიის მძვინვარე ომის შემდეგ (1870—71 წ.), ამ სამს გზაში ორს უკანასკნელს მიეცა განსაკუთრებული მნიშვნელობა. როგორც ვიცით, ეს წელი საფრანგეთისთვის შავბედითი იყო, მან დაჰკარგა ელზასი და ლოთარინგია. მისი საზღვარი გერმანეთის მხრით გადმოიწია ვოგეზებსა და სახელოვან არგონის ტყის აქეთ, რომელთა შუა გაჭიმულია ნანსის ველი. საფრანგეთი დამარცხდა, მაგრამ ბედს მხოლოდ გარეგნულად შეურიგდა. იგი იმავე დღიდან შეუდგა რევანშისთვის მზადებას. რა გზებისთვის უნდა მიექცია ყურადღება? ცხადია, იმისთვის, საიდანაც განიცადა დამარცხების სიმწვავე. ჩრდილოეთით იგი უზრუნველ ყოფილი იყო ბელგეთის სამეფოთი, მაშასადამე, მთელი ყურადღება ახალი საზღვრისთვის უნდა მიექცია, და მართლაც: ამ ხნის განმავლობაში აქ გადაჰკიდა მთელ ციხე-ბურჯთა რკინის ჯაჭვი. ტული, ვერდენი, ეპინალი და ბელფორი,—აი ის მრისხანე სახელები, რომელნიც დარაჯად სდგანან გადმომიჯნულს საზღვარზე. მაგრამ მარტო ეს ციხეები არ ჰკმაროდა. მათ შუა ათასობით დაქსელეს საიდუმლო სიმაგრენი, განსაკუთრებით რაც ახლოვდებოდა რევანშის სანატრელი დღე, სახელდობრ ამ ათეულს წელში, საფრანგეთის სტეხნიკო გენიოსობამ მთელი სქემა შეიმუშავა სამშობლოს თავდაცვისა და სიმაგრეთა ხლართით აავსო ლიუქსემბურგის სამთავროდან მოყოლებული შვეიცარიის საზღვრამდე.

საინჟინრო გენიოსობის ნაყოფს მრისხანე ბურჯებს თვით ბუნებრივმა მდგომარეობამაც შეუწყო ხელი. მთაგორაკნი და ისეთი მდინარეები, როგორიც გახლავთ მარნა, მოზელი და მაასი, არა ნაკლების რისხვით ემუქრებოდნენ გერმანელთ, თუ გაბედავდნენ აქეთ წამოსვლას. აი, ამიტომ იყო, გერმანეთის მთავარმა შტაბმა აქეთ წამოსვლის ნაცვლად ამოირჩია შორეული გზა, გადაჰქელა ლიუქსემბურგის სამთავრო, შეესია ბელგეთს, დაითმინა ინგლისის მუქარა და მის მთავრობის გამოცხადებაც, რომ ელვის სისწრაფით მოესპო საფრანგეთი, როგორც ეს სთქვა გენერალმა ფონბერნგარდიმ, რათა შემდეგ რუსეთს შემოსტრიალებოდნენ. ეს ასედაც მოხდა. იმ დროს, როდესაც გენერალ ფონბელი სისწრაფით გაემართა საფრანგეთისკენ და გზად ბელგიის ტერიტორია გადალახა, ამ მრისხანე ხაზზე ორი არმია დარაჯად იდგა მეცისა და სტრასტბურგის გასწვრივ, რათა საფრანგეთში შეჭრილ პირველ არმიისთვის აქედან შეტევით შეემსუბუქებინათ წინსვლა. უეჭველია, ციხე-ბურჯთა გარნიზონებს მიაშველებდნენ შემოსეულ ტალღის შესაჩერებლად, აქედან კი ეს ორი არმია დასცხებდა, დიდი მსხვერპლის შემდეგ გადაბიჯებდა ციხეთა კედლებს და შეერთებული სამთავე არმია ერთის ძალით შეუტევდა პარიზს.

აქ სრულიადაც არ გვაინტერესებს მთელი ისტორიის გახსენება. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ ორ არმიის ხელმძღვანელმა კრონპრინცმა, მართალია მაშინ ვერ გაამართლა იმედები და მისი ბრძოლანი სახელოვან „არგონის ომების“ სახელით ისტორიას იმას მაინც აუწყებენ, რომ ვერდენთან შეტევით და ფრანგთა ჯარების ყურადღების გაყოფით დიდად შეუწყო ხელი მარნასთან კრიტიკულს მდგომარეობაში ჩავარდნილ ფონ-კლუკის არმიის გადარჩენას. ამნაირად, ვერდენის ციხემ ამ ორი წლის განმავლობაში ეს მეორედ მიიპყრო მსოფლიოს ყურადღება. პირველად 1914 წ. შემოდგომაზე მან გადაარჩინა ფრანგი ჯარები შემოვლას, ხოლო წელს კოპებ შეკრულს ჯარსაც ფარ-ხმალი არ დაუყრია მრისხანე მტერის გზის გადასალობავად.

თავისთავად იბადება კითხვა: რატომ ამოირჩიეს გერმანელებმა ისევ ეს ადგილი გასარღვევად? რომ ამაზე ვუპასუხოთ, საჭიროა გავიხსენოთ მოპირდაპირეთა სტრატეგიული მდგომარეობა.

მარნასთან დამარცხების შემდეგ, როგორც ვიცით, დღემდე პირისპირ სდგას ორი ლაშქარი და პოზიციურს ბრძოლას ეწევა. მოკავშირენი გერმანელთა პირველ შეტევიდან გაცილებით მეტნი იყვნენ, ვიდრე ამის შესახებ ცნობებს გვაწვდიდნენ იმ დროს საფრანგეთიდან. ამერიკელი მკვლევარნი ფონკლუკის არმიაში სულ 900 ათას კაცს სთვლიან. აი ეს 900 ათასი კაცი გაუმკლავდა ორ მილიონიან არმიას. თუ შეაჩერა იგი, მხოლოდ ტეხნიკის წყალობით. გერმანეთი იძულებული გახდა რუსეთისთვის სათანადო პასუხი გაეცა, რომ ლვოვის დაცემის შემდეგ ხალხი სულიერად არ დაცემულიყო. ამიტომ მთელი ბელგეთი არსენალად გარდაჰქმნა, შამპანი საოცარ სიმაგრეებით და თხრილებით დაჰქსელა, შიგ ჩააყენა 15 კორპუსი და დანარჩენები კი რუსეთისაკენ გაისტუმრა. პირდაპირი შეტევით ფრანგებმა სასტიკი ზარალი რამდენჯერმე განიცადეს სუასონთან თუ ენთან. მაშასადამე, ამათაც მტრისათვის უნდა მიებაძნათ და იგივე იარაღი მოეხმარნათ თავდასაცველად, რასაც გერმანელები ხმარობდნენ. ამ დღიდან იწყება საფრანგეთში სამრეწველო მობილიზაცია, ყოველისფერი ომისთვის გადაიდო, იარაღი მატულობს, ყუმბარების მთა მთაზე მოდის. ამ მხრივ პარიზის გზა თითქმის უზრუნველ-ყოფილია.

X.

(დასასრული იქნება).

## ბ. ი. თ. პალმოვის ლექცია

ომმა ნათელ ჰყო ძველი წესით ცხოვრების შეუძლებლობა. მრავალმა ღრმა სოციალ-პოლიტიკურმა საკითხმა წამოჰყო თავი. სინამდვილე დაჟინებით მოითხოვს მათს გადაწყვეტას. უნდა ამუშავდეს აზრი და შესაფერი სავალი გზა უჩვენოს. ბუნებრივად ასეთ მუშაობის დროს რუსეთის მოწინავე საზოგადოების აზრი მოკავშირე ინგლისისაკენ იცქირება. დღემდის თუ ინგლისისადმი ინტერესს უფრო მეცნიერული და მრეწველობითი ხასიათი ჰქონდა, დღეს ცოცხალი პოლიტიკური მიზანი და აზრი ამჩნევს თავის დაღს. ინგლისი, თავისი წესებით, აღთქმულ ქვეყნად ისახება. ხალხის წარმომადგენელთა დარბაზობა ინგლისში, რუსული მოწინავე პრესსა—ცხადი მლაღადებელია ამისა.

როგორ შეჰქმნა ინგლისმა თავისი წესწყობილება, როგორ ანხორციელებს მას, როგორ ამყარებს ამ ქვეყნად შედარებით მეტს სამართლიანობას—ყველაფერი ეს ჰსურს გაიგოს ადამიანმა. სწორედ ამ აზრითაა გამოწვეული ბ. პალმოვის ლექციები:

კვირას, 27 მარტს, იმის შესახებ „თუ როგორ შეჰქმნა ინგლისმა თავისი წესწყობილება“; რომელიც ორი მოხსენებისაგან შესდგება:

I. ინგლისი შინ II. ინგლისი გარეთ (ახალშენებში).

ლექცია ინტერესს არ არის მოკლებული. იგლისი კონსტიტუციონალიზმის სამშობლოდ ითვლება. ინგლისმავე დიდი უბედურობისა და ომიანობის შემდეგ ისეთი პოლიტიკური ფორმა მისცა თავის საახალშენო მოქმედებას, რომ იგი უფრო შეღავათიან პირობებად ითვლება ქვეყნიერებაზე.

## დაბა-სოფლები

**ქიზიყი.** გაზეთ „საქართველოს“ იანვრის № 9-ში მოთავსებული იყო ჩემი წერილი: „მთის ჩამორთმევა“ სადაც ვსცდილობდი მეუწყებინა ქართველ საზოგადოებისათვის მაჩხაანელ მეცხვარეების უნუგეშო მდგომარეობა, რომელიც გამოიწვია საძოვარ მთის ჩამორთმევამ.

იანვრის შუა რიცხვებში თხოვნით მივმართე თავად-აზნაურობის წინამძღოლს ბ. რ. აბხაზს, რათა შუამდგომლობა გაეწია სამიწად-მოქმედო დეპარტამენტის რწმუნებულის წინაშე, საძოვარ მთის „კამეჩის მინდვრის“ საკითხის შესახებ. ბ. აბხაზმა კეთილ ინება, ჩემი თხოვნა დააკმაყოფილა: 18 იანვარს 1916 წ. საქმე № 82 წარუდგინა ზემოდ აღნიშნულ მრწმუნებელს.

მაგრამ რა გამოვიდა დღე-დღეზე გადის, თვე-თვეზე, წელიწადი-წელიწადზე, მაჩხაანელ მეცხვარეების მთის საკითხი კი ჯეროვან საკითხის ხასიათ, არ იღებს?

ნუ თუ ცრუ უწყებები სომხებისა მთავრობის წინაშე დაგვირგვინდება? ნუ თუ მაჩხაანელ მეცხვარეების სიმართლეს დასჩრდილავს? ეს წარმოუდგენელია: ვინაიდგან მთავრობა კერძო პირი არ არის, რომ თავის ნათქვამი თვითონვე დაჰგმოს.

თბილისის გუბერნიის სახელმწიფო მამულების ქონებათა სამმართველოში სექტემბრის 24-ს 1905 წ. საქმე № 8907, ქვემო მაჩხაანელების რწმუნებულებს განუცხადეს და ოფიციალური ქაღალდი გადასცეს, რომელშიაც არის ნათქვამი: საძოვარი მთა, ახალქალაქის მაზრაში სახელად „კამეჩის მინდორი“ გეძლევათ. სამუდამოდ, მხოლოდ თუ ვინიცობაა რუსის მოსახლეებისათვის საჭიროებამ მოითხოვა, შეიძლება უკანასკნელებს გადაეცეს.

მაგრამ დღეს ჩვენ ვხედავთ სულ სხვას, მაჩხაანყლების მთა სომხებს გადასცეს, რაიც მეცხვარეებისათვის წარმოუდგენელი იყო. არა მოსახდომი მოჰხდა. სომხები რუსი მოსახლეების სახეს იღებენ, მაგრამ ტყუილად, ვინაიდან სომხებს არ ძალუძთ სთქვან, რომ იგინი ან ფაქტიურად ან იურიდიულად რუსის მოსახლეებს წარმოადგენდნენ.

ვ. ათანელიშვილი.

—

**იმერეთი.** იმერეთი ეს მესამე წელიწადია რაც შიმშილს განიცდის. სიმინდის ნაკლებულობას, ადგილის სივიწროვის გამო, საერთოდ, იმერელი გლეხი ყოველთვის გრძნობდა, მაგრამ წლევანდლამდის მას ამის საბრძოლველი საშუალებაც ჰქონდა და წლეულს კი ეს საშუალება ხელთ აღარ აქვს. იმერელის უპირველესი საშუალება შიმშილთან საბრძოლველად ღვინის მოსავალი იყო. წლევანდელი სიმინდის მოსავალის შესახებ, მუშა ხელის ომში გაწვევის გამო, აბა საიმედო რა გვეთქმის თუნდაც ბუნებამ ხელი შეგვიწყოს ღვინის მოსავალი მაინც უხვი არ იქნება. შარშანდელმა ვაზის უწამლობამ და ალაგ-ალაგ სეტყვისაგან მოვლენილმა რისხვამ ვენახები ძალზე გააფუჭა, ასე რომ დიდი მეცადინეობა სჭირდება იმერელ მევენახეს, რომ ჩვეულებრივი მოსავლის ნახევარი მაინც მიიღოს. ზემო იმერეთის გლეხობას უფრო მძიმე ტვირთად აწევს შიმშილობის სიმწარე. შიმშილთან ქვემო იმერეთში მეღვინეობას გარდა, მეაბრეშუმეობა და მებოსტნეობაც კარგ ნიადაგზეა დაყენებული და კარგ შემოსავალს აძლევს გლეხს; მარტო მებოსნეობიდან ქვემო იმერეთის ზოგიერთ სოფლებში მაინც, როგორც მაგალითად: ქვიტირია, მესხეთი, უკანეთი, პატრიკეთი, ოფიშკუთი, საყულია, მუხიანა, მაღლაკი და სხვა, ხუთას-ექვსას მანეთს აიღებს წელიწადში გლეხი. მეხილეობაც არ არის ქვემო-იმერეთში დავიწყებული. აქაური ადრეულა ბაღი კარგ შემოსავალს იძლევა. მებოსტნეობა-მეხილეობამ, თუმცა ერთიანი—მსხვილი ფული არ იცის, მაგრამ მომჭირნე ოჯახი ამ წვრილი შემოსავლით ოჯახის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, გადასახადებს ისტუმრებს და კიდევ შავი დღისათვის ორიოდე გროშს ინახავს. „რაინდები“ და „მკლავაძეები“, რომლების დევიზი მარტო ქეიფია, იმერეთშიაც ბევრია, მაგრამ ისინი უფრო თავადაზნაურობის წრისანი არიან. საქეიფო ფულის საშოვნელად იძულებულნი არიან ადგილი გაჰყიდონ მეზობელ გლეხზე. აქაური გლეხის კაი დღეც მაშინ თენდება, როდესაც ადგილს ყიდულობს დი ეზო-გარემოს იფართოვებს. მიწის სიმცირეც დიდად ხელს უწყობს ჩვენში შიმშილობა-სიღარიბესაც.

მ. ფარცხნალელი.

—

**სოფ. ქსოვრისი** (დუშეთის მაზრა). ქსოვრისი კარგად მოზრდილი სოფელია. აქ მოსახლეობს 100 კომლამდე. ამათში გლეხობა 80 ოჯახი იქნება, დანარჩენი აზნაურები არიან. ეს სოფელი მდიდარია. მდებარეობა მშვენიერი აქვს: ერთი ნაწილი სოფლისა ქსნის პირას არის გადაშლილი, მეორე ნაწილი კი პატარა ხრიოკზედ არის შეფენილი, საიდანაც მოსჩანს ფართოდ გაშლილი—მოლაპლაპე—მჩქეფარე ქსანი და აგრეთვე მრავალი ბაღები და ვენახები. ზოსავლითაც სოფელი ქსოვრისი ღვთის წყალობით უხვია: მოდის მშვენიერი ღვინო, პური, ხილი და სხვა მრავალი ფეხის-მოსავალი. ქსოვრისის მცხოვრებნი საკმარისად კუჭ-მაძღარნი არიან, მაგრამ საუბედუროდ—ძლიერ ჭკუა-მშიერნი. ეს უკუღმართი მოვლენა აიხსნება მით, რომ ამ სოფელში არა არსებობს რა: არც სკოლა, არც სამკითხველო (ოდესღაც თურმე არსებობდა), არც თეატრი, არც კოოპერატიული საზოგადოება და სხვა. სოფ. ქსოვრისის ინტელიგენცია მძინარაა, რომ უყურებ იქაურ მცხოვრებთა შავ მდგომარეობას, გული გიკვდება. თავი და თავი საჭიროა ჯერ სკოლა გაიხსნას და შემდეგ კი იმედია სხვა დაწესებულებაც დაარსდება. მხოლოდ დაწყება, პირველი ნაბიჯია საჭირო და მერე ხალხიც გონებაში ჩავარდება, ამოქმედდება. ამ საქმის განხორციელება ქ. შ. წ. გ. ს-ის წმინდა მოვალეობაა. და მე მგონი დიდის ყურადღებით და გულდასმით შეუდგება ამ საქმის სისრულეში მოყვანას.

გულშემატკივარი

## ბ. ი. დადიანის მცირე შენიშვნა

„სახალხო ფურცელი“ თავის ერთერთ მეთაურში შეეხო კორესპონდენციას, რომელიც ბაქოდან „თან. აზრს“ მოუვიდა და რომელიც ჩვენს გაზეთშიაც იყო გადმობეჭდილი. ამ წერილში, სხვათა შორის, მოყვანილი იყო ბ. ი. დადიანის სიტყვა, რომელშიაც მას განუმარტავს იმ მიმართულების მნიშვნელობა, რომელსაც გაზეთი „საქართველო“ ემსახურება. „სახალხო ფურცლისთვის“ საკმარისია „საქართველოს“ მიმართულება კაცმა ცუდათ არ მოიხსენიოს, რომ ნათქვამში სწორედ ის დაინახოს, რაც არ თქმულა და რაც მას საკბილოდ გამოადგება. ამ გარემოებას პატივცემული ი. დადიანი იძულებული გაუხდია „სახ. ფურცლისადმი“ წერილით მიემართნა, რომელიც აქვე მოგვყავს:

„მ. ბ. რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ არა საპოლემიკოდ, არამედ მხოლოდ სიმართლის აღსადგენად, მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ეს ჩემი მცირე შენიშვნა.

ამ წლის თებერვლის 26 თქვენი „სახალხო ფურცლის“ 512 ნომერში მეთაურ სტატიაში მოყვანილი იყო შემდეგი დებულება: „ცოტა ხანს კიდეც რომ წარმოვიდგინოთ ისეთი წარმოუდგენელი დრო, როდესაც ვაჭრობის და მრეწველობის იდეოლოგია „ყოველი ქართველის“ იდეოლოგიად იქცევა, როგორც ეს სხვათა შორის ბ-ნ დადიანს განუცხადებია ქალაქ ბაქოში, ეს იქნება ქართული რადიკალური პოლიტიკური აზრის დასამარება“-ო.

ეს ბ-ნი დადიანი, რომელსაც ეს განუცხადებია, უეჭველია მე უნდა ვიყო, რადგანაც ბ-ნ „დაუპატიჟებელ სტუმარს“ დაუკითხავად გამოუქვეყნებია ჩემი სიტყვა, თქმული ერთ კერძო თათბირში, და ალბად იქიდან უნდა იყოს მოყვანილი ეს ვითომდა ჩემგან განცხადებული აზრი, თუმცა ბ. „დაუპატიჟებელ სტუმრის“ წერილში მე ეს ვერ ამოვიკითხე.

მე არც ეს სიტყვები და არც ისეთი აზრი, საიდანაც ჩემის ფიქრით, ამნაირი დასკვნა შეიძლებოდეს, არასოდეს და არსად არ განმიცხადებია. მასთან ვაჭარ-მრეწველების ინტერესები თავის დღეში „მიზნად“ არ დამისახავს, როგორც მეთაურის ავტორს ეტყობა ჰგონებია.

შესახებ ქართველების შეერთებისა, თუ ნებას მომცემთ, მე წარმოვსთქვი შემდეგი აზრი: თუ დღემდის გაჩუმებული და შეუთანხმებელი არასოციალისტური, მაგრამ დემოკრატიული ელემენტები შეჯგუფდებიან, შეერთდებიან და გამოვლენ დამცველად არა ცალკე რომელიმე წოდების ან კლასის ინტერესებისა, არამედ მთელი ქართველი ერის ინტერესებისა და თავიანთ მოქმედებას დაამყარებენ რეალურ პოლიტიკაზე, მაშინ შესაძლებელია მოხდეს ის, რაც ჯერ-ჯერობით არ ხერხდება: იმ საკითხებში რომელნიც ეხებიან მთელი ქართველი ერის კეთილდღეობას, იმ საკითხებში, რომელსაც უკიდურესი მემარცხენენი—სოციალისტური პარტიები ვერ გამოესარჩლებიან ბუნებრივად, თუნდაც მათ საჭიროებას დღეს გრძნობდნენ, რადგან ეს მათ პრინციპებს ეწინააღმდეგება. იმ საკითხებში, რომელნიც, ასე ვსთქვათ, „ეროვნების საგარეო პოლიტიკას ეხებიან—ყველას, ვინც თავის თავს ქართველად სთვლის, ყველა მიმართულების ქართულ პარტიებს შეეძლებათ ამგვარ ჯგუფს, როგორც ცენტრალურ მიმართულებისას, შემოუერთდნენ, მხარი დაუჭირონ და არც თავიანთ პრინციპს უღალატონ, და შეებრძოლონ გაერთიანებულის ძალით გარეგან ერის დამაბრკოლებელ გარემოებებს მეთქი. —ვაჭარ-მრეწველების ვიწრო ინტერესების დამცველად მე არავის ვუხმობდი, და თუ ვსცნობ, რომ ერის კეთილდღეობისათვის საჭიროა სადაც ჯერ არს ამათი სამართლიანი ინტერესების დაცვა, მათი შეკავშირება, აგრეთვე მემამულეებისაც, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამათ ინტერესებს ხელმოკლე ხალხის ინტერესების წინ უპირატესობას ვაძლევდე და ამ უკანასკნელთ წინააღმდეგ ამხედრებას ვქადაგებდე.

ჩემი მიზანია, შესდგეს ყველა ქართველის შემაერთებელი, შემრიგებელი ჯგუფი და არა გამთიშველი, ახალ განხეთქილების მომტანი. შეიძლება ამაში ვსცდებოდე, მაგრამ მირჩევნია ვიყო პასუხისმგებელი ჩემგან წარმოთქმულ, თუნდაც შემცდარი აზრისთვის, ვინემც ჩემგან უთქვამი აზრისთვის.

და თუ ამ ნაირ სურვილს ბ-ნ „დაუპატიჟებელ სტუმრის“ ტერმინოლოგიით „ბურჟუაზიული სულის კვეთება“ ჰქვია, დაე აგრე იყოს, სახელს არ შევუშინდები, მხოლოდ მაშინ ამ ტერმინების განმარტებაა საჭირო, თორემ ფართო საზოგადოების „ბურჟუაზიული სულის კვეთება“ და „ვაჭარ-მრეწველის იდეოლოგია“ მიაჩნია „თავის ჯიბის იდეოლოგიად“. მერწმუნეთ, რომ ამგვარ ჯგუფის დაარსების მქადაგებელი მე არ გახლავართ.

თქვენი მარადის ღრმად პატივისმცემელი იოსებ დადიანი.

## ნარევი

**გრაფი ცეპელინი.**

შვედურ გაზეთის კორესპონდენტს უნახავს ჰაეროპლანის გამომგონი გრაფი ცეპელინი, რომელსაც საუბრის დროს უთქვამს:

„მე დიდად ნასიამოვნები ვარ, რომ ჩემ-მიერ გამოგონილმა ჰაეროპლანებმა ამ ომის დროს მიზანს მიაღწიეს. კაიზერ ვილჰელმისაგანაც ამ გამოგონების გულისთვის მრავალჯერ დავჯილდოვებულვარ. (ცეპელინი უბრალო ხელოსანი იყო. ვილჰელმმა იგი გრაფად გახადა).

ამ ომშიო—უთქვამს ცეპელინს—სხვა მოხერხებასთან ერთად ხალხის სულიერ განწყობილებაზე დიდს გავლენას ახდენს მოულოდნელი რამ გამოგონება. კარგად მოგეხსენებათ, როდესაც ჩემი ჰაეროპლანები თავს დაესხნენ საფრანგეთის და ინგლისის დედაქალაქებს, რა აურ-ზაური და სულიერი შფოთვა გამოიწვია. ამით ჩვენ დავამტკიცეთ მტრის უძლურება.(?)

ჯერ დაიცადეთ—დაუკვეხნია გრაფ ცეპელინს—ჩემის ცეპელინებისაგან შეძრწუნდება არა მარტო დასავლეთი, არამედ აღმოსავლეთიცაო..

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | . 8.53 სალ. |
| „ | საფ. „ | 3 | . 9.58 დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | . 10.20 სალ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | . 12.8 დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | . 11.13 ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . 11.13 ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | . 9.30 სალ. |
| „ | სამგ. „ | 10 | . 9.51 დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | . 9.3 დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | . 7.41 სალ. |
| „ | სამგ. „ | 7 | . 1.42 ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . 8.8 დილ. |

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწორდება.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილისიდან . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ | 23 „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ | 43 „ | „ |
| ვაზიანიდან . . | 10 „ | 42 „ | „ |
| იორიდან . . . | 11 „ | 35 „ | „ |
| საგარეჯოდან . . | 12 „ | 17 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ | 15 | დღის |
| მელაანიდან . . | 2 „ | 37 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ | 08 „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან . . | 4 „ | 58 „ | „ |
| თელავში მიდის . | 5 „ | 35 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ | 18 „ | „ |
| კარდენახიდან . . | 4 „ | 50 „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ | 15 „ | „ |

**თელავიდან**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . | 9 „ | 45 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 10 „ | 46 „ | „ |
| მელაანიდან . . | 12 „ | 02 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ | 13 „ | დღის |
| საგარეჯოდან . . | 2 „ | 15 „ | „ |
| იორიდან . . . | 2 „ | 53 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . | 4 „ | 31 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ | 46 „ | „ |
| თბილისში მიდის . | 5 „ | 01 „ | „ |
| წნორის-წყლიდან . | 9 ს. | 16 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . | 9 „ | 46 „ | „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ | 16 „ | „ |


**სიდეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის** და ამხ-ს ქარხნის **საუკეთესო** ხილეულ მადნეულის ნამდვილი **სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გაზშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია:

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის** მიერ პეტროგრადში დ თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“




**მხოლოდ და მარტო ლაღიძის** წყალია მომზადებული სრულიად **უვნებელის მაღალი** ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

—სუნი და გემოც საამური აქვს—

წლ.

## აბრეშუმის თესლი

**უკვე** შემოზიდულია საფრანგეთიდან და მიღებული თბილისის საბრეშუმო **სადგურში.** თესლი ყვითელი აბრეშუმისაა, უკეთესი ხარისხის, უკვე ცნობილი კავკასიაში დ განგებ გამოგზავნილი საქართველოში გასავრცელებლად.

თესლის მოვაჭრეთ ვთხოვ: **თბილისში მომმართონ პირდაპირ მე (სასტუმრო ორიანტი)** და თბილისის გარე—ჩემს წარმომადგენლებს: **ქუთაისში—ნ. ჭელიძეს, აბაშაში—იოსებ გეგენავას და ბათომში—ამბაკო ნადარეიშვილს.**

საფრანგეთის მეაბრეშუმეთა წარმომადგენელი, გამოგზავნილი საფრანგეთის მართებლობის მიერ.

(6—122—6) **ბადიშ კოსერი.**

## თევზის მრეწველნი
## ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. მაილოვის-შვით,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა,** მცირე მარილიანი, შავი **„„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.